TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

დაიჯესტი

23 - 27 ნოემბერი

2020

საქართველო

ევროკავშირის საბჭოს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, საუბარია ევროკავშირის მიერ ტერორისტული ორგანიზაციების, **დაეშისა** და **ალ-ქაიდას,** წინააღმდეგ დაწესებული სანქციების 2021 წლის 31 ოქტომბრამდე გახანგრძლივების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ამ ინიციატივას შეუერთდა საქართველოც.

დიდი ბრიტანეთი

ბირმინგემში 38 წლის ქალი კონტრტერორისტულმა პოლიციამ დააკავა. დაკავება კონტრ ტერორისტული პოლიციის გამოძიებას მოჰყვა. წყაროების ინფორმაციით ქალი უახლოეს საფრთხეს არ წარმოადგენდა.

ბრიტანეთის კონტრ-ტერორისტული პოლიცია, სპეციალური სააგენტოები და კრიმინალური იუსტიციის სისტემა გაერთიანდება კონტრ-ტერორისტული ოპერაციების ცენტრის შესაქმნელად. ამ მიზნით, ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი რიში სუნაქი, 10 მილიონი ფუნტი სტერლინგის გამოყოფას აპირებს.

შვეიცარია

ლუგანოში ერთ-ერთ სავაჭრო დაწესებულებაში ცივი იარაღით შეიარაღებული ტერორისტი თავს დაესხა ორ ადამინს. თავდასხმა დღის ორ საათზე მოხდა. 28 წლის შვეიცარიის მოქალაქე ქალმა 2 ქალი დაჭრა. წყაროების ინფორმაციით თავდასხმისას ის ამბობდა, რომ ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის წევრია.

თურქეთი

ნატოს გენერალური მდივანი, იენს სტოლტენბერგის, განცხადებით თურქეთი უდიდეს როლს თამაშობს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძლაში. მან განცხადება

გერმანელი პოლიტიკოსის, იურგენ ტრიტინის კრიტიკის შემდეგ გააკეთა. ტრიტინი თურქეთს სამხედრო ალიანსის პრინციპეპის არ გაზიარებაში სდებდა ბრალს.

ეგვიპტე

ეგვიპტის სასამართლომ ტერორისტთა სიას 26 ადამიანი დაუმატა. 2013 წელს ორგანიზაცია „მუსლიმური საძმო“ ეგვიპტეში აიკრძალა. მას მერე ორგანიზაციასთან აფილირებული პირების დაკავება გრძელდება. აღსანიშნავია, რომ დამატებულ პირთა სიაში აღმოჩნდა, ეგვიპტელი სამოქალაქო აქტივისტი **ალაა აბდელ-ფატაც.**

სინგაპური

ტერორიზმის საფრთხის გამო გამკაცრებული ზომების შედეგად სინგაპურიდან 16 ადამიანის რეპატრიაცია მოხდა. მათგან ბანგლადეშის 15 მოქალაქეა, 1 კი მალაიზიის. გამოძიება ისევ გრძელდება და სულ 37 ადამიანია დაკვირვების ქვეშ.

სიგნაპურში 26 წლის, ბანგლადეშის მოქალაქე დააკავეს ტერორიზმის ბრალდებით. ის აქტიურად ავრცელებდა ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის პროპაგანდას. ის ფლობდა ცივ იარაღს, მან აღიარა რომ მის გამოყენებას მომავალ თავდასხმებში აპირებდა.

რუსეთი

ოფიციალური მოსკოვი ვაშინგტონს სირიაში ტერორიზმის დაფინანსებაში სდებს ბრალს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა, თქვა, რომ ამერიკელები ებრძვიან საკუთარ შექმნილ ტერორისტულ ქსელს.

მიხაილ უსტიანცევს ტერორიზმის ბრალდებით 15 წელი მიესაჯა. უსტიანცევი აუმ შირინკოს კულტის ლიდერია. აუმ შირინკო რუსეთის ფედერაციის მიერ

ტერორისტულ დაჯგუფებადაა აღიარებული. სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ აღსრულებულა.

საუდის არაბეთი

სამოქალაქო აქტივისტი, ლუჯაინ ალ-ჰათჰოული საუდის არაბეთის სასამართლომ ტერორიზმის სასამართლოში გადაამისამართა. ლუჯაინი ქალთა უფლებების აქტივისტია და იგი ქალებისთვის მანქანის ტარების უფლებისთვის პროტესტის დროს დააკავეს.

იორდანია

იორდანიის სასამართლომ 17 ადამიანს ტერორიზმთან დაკავშირებული ბრალდებით სასჯელი მიუსაჯა. ჯგუფს ქალაქ ზარქაში 16 წლის ბიჭის ტერორისტული მოტივებით წამება ედებათ ბრალად. ჯგუფიდან ერთერთი მიმალვაშია, სასამართლომ დაუსწრებლად გამოიტანა ვერდიქტი.

ინდოეთი

ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტმა, ვენქაია ნაიდუმ განაცხადა, რომ ის ქვეყნები, რომლებიც აფინანსებენ და ხელს უწყობენ ტერორიზმს უნდა იყვნენ გარიყულნი. მან მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას ასეთი სახელმწიფოებისთვის სანქციების დაწესებისკენ.

ეთიოპია

გამოცემა როიტერსის განცხადებით, ეთიოპიის საპატრულო სამსახურების მიერ 2020 წლის 27 ნოემბერს, ორშაბათს, ჩატარებული სამხედრო სპეცოპერაციის შედეგად 796 პირი იქნა დაკავებული. ოფიციალური ადის-აბებას განცხადებით, მოცემული პირები ტერორისტული აქტის დაგეგმვის ბრალდებით არიან დაკავებული.

ამერიკის შეერთებული შტატები

გამოცემა New York Post-ის განცხადებით, 2017 წელს ტერორისტული ორგანიზაცია, დაეშის, მიერ მუქარის შემცველ ვიდეო-ფირზე (რომლის სამიზნესაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი, წარმოადგენდა) ასახული 10 წლის ბიჭი, მეთიუ ელჰასანი, სახლში დაბრუნდა. ელჰასანი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებას „შვებას“ უწოდებს და იმედოვნებს, რომ სწრაფად დაუბრუნდება ჩვეულ ცხოვრებას.

ნიგერია

2020 წლის 22 ნოემბერს, კვირას, ნიგერიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ზამფარას რეგიონში, მეჩეთზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად დაიღუპა 5 ადამიანი. ნიგერიის სახელმწიფო საპატრული სამსახურის სპიკერის, მუჰამედ შეჰუს განცხადებით, თავდამსხმელებმა 18 ადამიანი გაიტაცეს. გატაცებულთა შორისაა იმამიც.